ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №7

ქ. ლანჩხუთი 21.08.2023.

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, გიორგი ჩახვაძე, გიორგი გოგუაძე, ჯუმბერ ბლაგიძე და ვერიკო კვირკველია.

მოწვეული პირები: მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი **შოთა ჩაგუნავა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

2. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

/მომხსენებელი: ა. მახათაძე/

3. სხვადასხვა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო **შოთა ჩაგუნავამ.** მან განმარტა, რომ ზემოაღნიშნული დადგენილების მიღებით ძალადაკარგულად ცხადდება ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის - განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამებიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 იანვრის N1 დადგენილება. აღნიშნული პროექტის წარმოდგენილი სახით მიღება, საშუალებას იძლევა წახალისდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საჯარო, კერძო და სახელოვნებო სკოლების წარმატებული პედაგოგები. ასევე, ხელოვნების სხვადასხვა დარგის ინდივიდუალური შემსრულებლები, ხელოვნების

წარმომადგენლები, შემოქმედებითი დასების ხელმძღვანელი პირები, სხვადასხვა ნომინაციებში გამარჯვებული ახალგაზრდები, გრანპრის, ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსანი ლაურეატები. აღნიშნული პროექტის ახალი ვერსია ითვალისწინებს და აზუსტებს, როგორც ჯილდოს მიღების, ასევე, პროექტების თანადაფინანსების მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტების ჩამონათვალს. პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას, რაც უკვე გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესაბამის მუხლებში.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო **შოთა ჩაგუნავამ.** მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილი ცვლილების საფუძველია ,,საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი''-ს 209 3 მუხლის პირველი და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული ცვლილებები, რომელიც ამოქმედდა 2023 წლის 1-ლი აპრილიდან. ნორმატიული აქტით მტკიცდება საჯარიმო ქვითრის - მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტის ფორმაც, რაც ენობრივი სისწორის თვალსაზრისით შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან.
ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია საკრებულომ ელექტრონული შტამპი განიხილოს და მიიღოს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული და სამართლებრივი უზრუნველყოფის სამსახურის, სამართლებრივი უზრუნველყოფის განყოფილების მიერ მომზადებული შესაბამისი ნორმატიული აქტის პროექტი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

წარმოდგენილ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით კომისიის წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს.

მომხრე-7, წინააღმდეგი-არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის მეორე საკითხი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ

სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

სხვადასხვა

ჯუმბერ ბლაგიძემ დასვა შეკითხვა იმის თაობაზე თუ რა ფაზაში იყო სოფლის პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სამუშაოები, რაზეც ია მოქიამ გააკეთა განმარტება და აღნიშნა, რომ სოფელ სუფსაში სოფლის პროგრამით გათვალისწინებული ყველა სამუშაო დასრულებულია, დარჩენილია მხოლოდ ერთი პროექტი, სოფელ ხიდმაღალაზე გარე განათების მოწყობა, აქტიურად მიმდინარეობს სამუშაოები და ისიც მალე დასრულდება. **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჯურუყვეთშიც ყველა პროექტი დასრულებულია, დარჩენილია მხოლოდ ფასთა კვოტირების შედეგად მიღებული ეკონომიის თანხა, რომლის ათვისებაც უახლოეს მომავალში მოხდება. რაც შეეხება წყალმომარაგებას, 10 სექტემბრამდე მოხდება სოფელ ეწრისა და სოფელ ჯურუყვეთში ე.წ. გოგუებისა და კორეას უბნების წლის სისტემების შემოწმება და ოქტომბრის ბოლომდე ჯურუყვეთის ადმინისტრაციული ერთეულის სამივე სოფელში მოხდება აღნიშნული სამუშაოების დასრულება. ასევე აქტიურ ფაზაშია სოფლის გაზიფიცირების სამუშაოები.

ჯუმბერ ბლაგიძემ გამოთქვა უკმაყოფილება იმის თაობაზე, რომ მიუხედავად მუნიციპალიტეტის მერის დაპირებისა ვერ მოხერხდა სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი ხარჯის გაზრდა. ია მოქიამ განმარტა, რომ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობდა მსჯელობა და გაირკვა, რომ საქართველოს მასშტაბით მხოლოდ 5 მუნიციპალიტეტს აქვს განსაზღვრული სადეპუტატო უფლებამოსილების განსახორციელებელი ხარჯი 750 ლარზე მეტი ოდენობით.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: ალექსანდრე მახათაძე

ქ. ლანჩხუთი 21.08.2023 წელი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №7

2023 წლის 21 აგვისტოს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

2. „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის განათლების ხელშეწყობის, კულტურის ხელშეწყობის, სპორტის ხელშეწყობისა და ახალგაზრდობის მხარდაჭერის პროგრამიდან დაფინანსების მიზნით გამოყოფილი თანხის გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი „საქართველოს კანონით „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“, საქართველოს კანონით „ნარჩენების მართვის კოდექსი“ და საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ გათვალისწინებულ ცალკეულ სამართალდარღვევაზე საჯარიმო ქვითრის – ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმის შედგენის, გამოყენებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი მიღებულ იქნა შენიშვნების გარეშე.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : ალექსანდრე მახათაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

21.08.2023 წელი
12:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	11 50	
2	ია მოქია	11 55	
3	გიორგი ჩახვაძე	11 59	
4	სპარტაკ კვაჭაძე	11 50	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	არ ესწრებოდა	
7	გიორგი გოგუაძე	11 50	
8	ვერიკო კვირკველია	11 50	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	11 55	